

ცარების კულტური

საქართველოს მთავრობის განცხადება

სერათების წესი 380

დამატების წესი № 68

პირა, 13 სექტემბერი 1915 წ.



გაფა-ფშაველა გეულლით სოც. ჩარგალუ, თავისი სახლის ზე.

სურათზე წარწერილია: „ძმას სანდროს“.

„იქნებ იამს
ვიფიქრე ისა,
ძვირფას ძმას უძღვნ
სურათი ძმისა —

და მასთან ერთად
სურათიც რძლისა
რა შეინახოს
ალბომსა თვისსა
ვაჭა-ფშაველა.



გაფა-ფშაველა ცოლ-შვილით ს. ჩარგალუ თავისი სახლის ზე.

სურ. გაუაღებელია 1907 წელს.

04-136340
30640000033


ပန်မြတ်၏ပုဂ္ဂလာ

ბრძოლის პირი ნაჩვენე



ის ასპერენი

ბია რეა სექტემბრამდე





ვაზა-ფშაველას უკანასკნელი სურათი გადაღებულია თუშებთან
და დათიკო ცისკარაშვილებთან.

მომისახული აა

ბერიოზისა.

(დასასრული *)

ქალს მუხლებზე წიგნი ედო; ერთსა და იმავ ფურუცელზე იყო
გადაშლილი. ნახევრად გალებულ სარტყელში შემოიჭრა მზის სხივი
ქუჩის რბილ ხმაურობასთან ერთად; საათის წუთის ისარმა რამდენ-
ჯერმე შემოუარა გარს თავის ციფერბლატს. მაგრამ უანა მაინც ვე-
რაფერს ამჩნევდა. პირველი მისი მოძრაობა მოხდა მაშინ, როდესაც
შემოესმა ნაცნობი ხმაურობა გალებული კარებიდან; მას მოჰყვა ფე-
ხის ხმა, კიბის საფეხურებზე—ჩქარი ნაბიჯი, უფრო დაბეჯითებითი
ვიდრე ყოველთვის...

შემოსვლა ვერც კი მოაწრო ოთახში, რომ უანა უკვე წა-
კითხა მის სახეზე სიხარულის იმედი. გული ჩაეხურა, მაგრამ თავს
ძალა დაატანა და ჰქითხა თავისი ჩემულებრივის აღერსანის ხმით.

— აბა რა ამბავია, საყვარელო?

ქმარი დაეშვა მის გვერდით დივანზე და მეტის-მეტი სიხარუ-
ლით აღელვებულმა თავი მიაყრდნო კოლის მუხლებზე.

— უანა! ჩემი უანა!.. მეტის-მეტი კარგი ამბავია... ექიმები
ამბობენ, ოპერაციამ კარგად უნდა იმოქმედოსომ!.. იმდენად დარწმუ-
ნებულნი არიან, რომ ბ-ნი ფორმანი ხვალვე მოვა შენთან პირობის
დასადებად დროსა და სხვა და სხვა წერილმანების გამოსარევევად.

ქალი ხმა ამოულებლივ უსვამდა თმებზე ხელსა; ბურქა აღფრ-
თოვანებულის სიხარულით წამოიწია.

— ნუ თუ შემეძლება დაგინახო? ნუ თუ მოვესწრები ამ ბედ-
ნიერებას, მოვესწრები? არა, ეს მეტის-მეტი, მეტის-მეტი კარგი იქ-
ნება!

— მერე, გსთქათ, შენ... შენ მოტყუებული დარჩე?

ქმარმა ჩაცინა.

— შენ ჩემთვის ყოველთვის ასეთი მშვენიერი იქნები! ღმერთო
ჩემო! მაშინ ხმ ჩენი ბედნიერება ერთი-ორად სრული იქნება!..

მარტოდ დარჩენილი უანა ათასჯერ მიიჭრა სარკესთან, ზიზ-
ლით და შიშით შეხედა თავის მოშავო შემწვანებულ სახეს და მწა-
რედ აქეთინდა.

ბ-ნი ედუარდ ფორმანი, ცნობილი სპეციალისტი, ურჩევდა არ
გადაედო მოძრავა. უანა ბურკისა მოელაპარაკა მას განს აქუთრე-
ბით.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 67.

— არის კი... რამე საშიშო ორჭოფობა ამ გამოცდაში?—შე-
ეციობა უანა.

მედიდურმა მოხუცმა ყურადღებით ჩახედა მას თვალებში; იგი
მიხვდა, ქალს რაც აწუხებდა.

— ნება მიბოძეთ, ქ-ნო ბურკ, თქვენთან სრულიად გულახდი-
ლად ვიყო, —უპასუხა მოხუცმა.

— რამდენიმე ნაწილი ორჭოფობისა არის: გული თქვენ
ქმარს არა აქვს სალი. მაგრამ შიში იმდენად პატარა და უმნიშვნე-
ლოა, რომ გულწრფელად ვურჩევ აპერაცია გაიკეთოს. დიდის სიფრ-
თხილით.

— თქვენ უნდა გახსოვდეთ, ბ-ნო ედუარდ, რომ ვერაფერი
ვერ დამასახუქრებს მე... თუ სამწუხაროდ დაბოლოვდება. უკეთე-
სია უსნათლობა, სიბრძავე, ვიდრე... ხომ მიხვდით?..

მოხუცი მიხვდა უფრო მეტს, ვიდრე მას უნდოდა გამოეთქვა:
მას ჰქონდა დრო შეესწავლა არაც თუ „სარკე ადამიანის სულის
მდგომარეობისა“, არამედ თვით სულიც.

— გამომიგზავნეთ იგი; რომ მითხას, თანახმა ხართ თუ არა,
—უთხრა მოხუცმა და გრძნობით ჩამოართვა ხელი ყანაში დაბოლოვდება.

ორი დღის შემდეგ მოხუცმა გადიკითხა ბურკის ბარათი თვე-
რაციისთვის ამორჩეულ დღეზე და გადააქნია თავი:

— საწყალი! ვინ იცის, რამდენი ბრძოლა აიტანა საბრალო
ქალმა, ვიდრე ამას გადასწყვეტდა!

კველაფერი გათავებული იყო. ბურკი იწვა მეზობელ თოახში
თვალებ შეხვეული, ექიმები ჩუმად ლაპარაკობდნენ, ოპერაციამ ძა-
ლიან მოხერხებულად და კარგად ჩაიარაო. უანას თითქმის მათი არა
ეყურებოდა რა; მისი ულამაზო სახე საშინელებად გადაიქცა! სახეზე
აშკარად შეგეძლოთ წაგეკითხნათ, რომ იგი ყოველ წუთს თავის
დალუპეს ელოდა.

დასრულდა დღე, დადგა ლამის წყვდიადი; ავადმყოფთან ერთი
ექიმი დარჩა და მომვლელი ქალი.

საშინელი ხევდრით გულმოკლული, უანა არ გამოდიოდა მე-
ზობელ თოახიდან...

დადგა ლაუგარდი განთიადი, და ისიც გამოერქვია შებორ-
კილი მდგომარეობიდან, მოესმა რალაც ხმაურობა ავადმყო-
ფის თოახში. კარებში მას ექიმი შეხვდა.

— ცოტა გულის სიდამბლე მოუვიდა, მაგრამ ეს გაუვლის; ნუ
ღელავთ. ავადმყოფი მეტად მოუთმენელია. შესვლა?.. არა, გთხოვთ
ცოტა კიდევ შეიცალოთ.

ერთი საათის შემდეგ ექიმი გამოვიდა ავადმყოფის თოახიდან.
და უანა მიიწყია, რომ მისი ადგილი დაეჭირა ავადმყოფთან.

სრულებით გათენდა, როდესაც ავადმყოფი გამოტხიზლდა თავ-
დავიწყებიდან და ჰქითხა სრულიად გარკვევით:

„აქა ხარ, უანა?

ქალმა აიღო მისი ხელი თავის ხელში.

— აქა ვარ, ჩემი ძვირფასო...

— რატომ ვერაფერს ვერა ვხედავ? ისინი შემპირდნენ!..

ხომ მართლა: ეს შესახვევია!.. უანა! უანა! ვხედავ! იი—რა-
ლაც თეთრი!.. და ვიდრე უანა მოასწრებდა მის შეკვებას, ბურკმა
მსწრაფლად წამოიწია საწლოლიდან და ძლიერის მოძრაობით მოიგ-
ლივა ყველა შესახვევები.

— მე ვხედავ! ვხედავ!.. სადა ხარ, უანა?.. ჩემი საყვარელო,
უანა?! მაგრამ ერთი წუთის შემდეგ უკანვე გადაიწია, უკანვე დაუ-
ცა ბალიშზე.

— არა!.. ეს შეცდომა!.. მე... ვერაფერს ვერა... ვხედავ!..—უკა-
ნასკნელ სიტყვასთან ერთად მან საცოდავად ამოიკვენესა და ჩაპეიდა
თავი: იგი მოკვდა.

ტირილით გულამონჯდარი, ყანაში ქალი დაეშვა მუხლებზე,
იხუტებდა მის ხელს და ჩურჩულებდა უცნაურს ლოცვას:

— გმადლობ შენ, ღმერთო!.. მან ვერ დამინახა...

ლიზა მესხიშვილი.

